№ 21 იანვარი 29, პარასკევი 1893 [illegible] 29, პარასკევი № 21

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გ[illegible] ცალკეთად და კერძო განცხადებით დ[illegible] და მიჰმართონ: თვითონ რედაქციას [illegible]კუკიაში, კჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**ანასტასია კერესელიძისა** თავის შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ, შაბათს, 30 იანვარს, დიდუბის ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **ივანე ივანის ძის კერესელიძის** სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი—9 საათზე.

(2—1)

**თ. ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი, თ. დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილი და კნეინა ბარბარე მელიტონის ასული ვეზირიშვილისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, 30 იანვარს, დილის 10 საათზედ იქნება გადახდილი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნახევარ-წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **კნეინა ნინო დიმიტრის ასულის მაჩაბლის** სულის მოსახსენებლად.

(2—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

**на 1893 годъ.**

*(Сорокъ восьмой годъ изданія).*

„КАВКАЗЪ"

**Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮГИНЪ.**

**Подписная цѣна:**

| | Городская | Иногородная | Заграничная |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 11 р. 50 к. | 13 руб. | 18 р. 40 к. |
| ,, 11 ,, | 11 ,, — ,, | 12 ,, | — ,, |
| ,, 10 ,, | 10 ,, — ,, | 11 ,, | — ,, |
| ,, 9 ,, | 9 ,, — ,, | 10 ,, | — ,, |
| ,, 8 ,, | 8 ,, — ,, | 9 ,, | — ,, |
| ,, 7 ,, | 7 ,, — ,, | 8 ,, | — ,, |
| ,, 6 ,, | 6 ,, — ,, | 7 ,, | 10 ,, |
| ,, 5 ,, | 5 ,, — ,, | 6 ,, | — ,, |
| ,, 4 мѣсяца | 4 ,, 50 ,, | 5 ,, | — ,, |
| ,, 3 ,, | 3 ,, 50 ,, | 4 ,, | 6 ,, |
| ,, 2 ,, | 2 ,, 50 ,, | 3 ,, | — ,, |
| ,, 1 мѣсяцъ | 1 ,, 50 ,, | 1 ,, 75 к. | 2 ,, |

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сроки отъ одного до двѣнадцати мѣсяцевъ.

Желающіе подписаться съ расрочкою вносятъ при подпискѣ 2 р. и по 1 р. къ первому числу каждаго последующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

**Плата за объявленія** (со строки петита или занимаемаго мѣста): На послѣднихъ страницахъ: съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—6 к., съ прочихъ—10 к., за каждый разъ. На первыхъ страницахъ вдвое. За большія или многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 8 рублей съ тысячи.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА": Тифлисъ, Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.

Въ непродолжительномъ времени выйдетъ и будетъ разосланъ прошлогоднимъ подписчикамъ полный систематическій указатель къ содержанію „Кавказа" 1892 годъ.

ქართული თეატრი

კვირას, 31 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება უკანასკნელად ამ სეზონში

**სამშობლო**

ისტორ. დრ. 5 მოქმედ. თ. დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი კ. გუნია

რადგან 24 იანვარს დანიშნული საზოგადო წლიური კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, ხელ-ახლად დანიშნულია, კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 სექტემბრიდგან 1891 წლისა 1 სექტემბრამდე 1892 წლისა; ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ 1892—93 წლისათვის, და გ, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

სამშაბათს, 2 თებერვალს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება

„სახლების აშენების ამხანაგობისა"

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის მოქმედებისა წარსულ წელს,

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და 3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ წევრნი და აგრეთვე ისინი, ვინც განაცხადებენ სურვილს წევრობისას და წარმოადგენენ საწევრო ფულს არა ნაკლებ ერთის თუმნისა.

(5—2)

# ახალი ამბავი

*** კვირას, 31 იანვარს ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქნება ამ სეზონში უკანასკნელად „სამშობლო", 5 მოქმედებიანი დრამა დ. ერისთავისა.

*** გუშინ-წინ, 27 იანვარს, ქართულ თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს ახალი კომედია თ. დ. ერისთავისა. ეს პიესა უპოვნიათ გარდაცვალებულ ერისთავის ქაღალდებში. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. თეატრის დარბაზში შედარებით სხვა წარმოდგენებთან ბლომად იყვნენ ჩვენი განათლებული კაცები და ქალებიცა. პიესის შესახებ ხვალ მოვილაპარაკებთ.

*** კავკასიის მკურნალთა კრებაზე დასასწრებლად, რომელიც თებერვალში უნდა მოხდეს, ეხლავე ჰყიდულობენ მკურნალები ბილეთებსა. ბილეთის ფასი სამკურნალო საზოგადოების წევრთათვის ჰღირს 3 მან., სხვათა მკურნალებისთვის—5 მან.

*** ჩვენმა ქალაქმა ამ დღეებში მიიღო სადეზინფექციო აპარატი, რომელიც შარშან შეუკვეთა პეტერბურგში. ეს აპარატი გამართული იქმნება მადათოვის კუნძულზე და, რასაკვირველია, მცირე სამსახურს არ გაუწევს ქალაქს, თუ ვინიცობაა ხოლერა გაჩნდა წელსაც ტფილისში. ეს აპარატი ისეა მოწყობილი, რომ ორთქლის საშუალებით უვნებელ ჰყოფს ყოველ გვარ საგანსა და ნივთს, რომლის დეზინფექციაც-კი საჭირო იქნება.

*** ქალაქის ამომრჩეველთა სიების შედგენაში გამგეობა წააწყდა მრავალს გამოურკვეველს საგანს, რომელთა ასახსნელად მიჰმართა ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს. მაგალითად, გამოცხადებულ იყო, რომ სიებში მოჰყვებიან მხოლოდ ისინი, ვინც დარჩენილს ვალს დაფასებისას გასწმენდავს ამა იანვრის გასვლამდე. სამოქალაქო წესდებაში-კი მოყვანილია 1888 წლის განკარგულება სენატისა, რომლის ძალითაც სიაში უნდა ჩასწერონ ისინიც, რომელნიც ვალს გარდაიხდიან სიების დამტკიცების დღემდე. გამგეობა შეეკითხა ბ-ნს გუბერნატორს, ჩასწეროს ასეთი კაცებიც სიაში თუ არა. წესდებაში სწერია, რომ ამომრჩეველი არის მხოლოდ ისა, ვისი მამულიც ღირს არა ნაკლებ ას-ორმოც-და-ათის თუმნისა. ტფილისში მოიპოვებიან ისეთნი, ვისაც რამდენიმე მამული აქვს, თითო მამული ნაკლება ფასობს, მაგრამ ერთად-კი მათი ფასი აღემატება ას ორმოც-და ათ თუმანს. უნდა მოჰყვნენ ესენიც სიებში თუ არა? აქვთ ამორჩევის უფლება ეკკლესიებსა და სასულიერო სასწავლებელს, უკეთუ მათი მამულები უვალონი არიან, თუ არა აქვთ? ბოლოს გამგეობამ არ იცის, სიებში უნდა მოჰყვნენ ტფილისის ებრაელნი, რომელთაცა აქვთ უძრავი მამულები ცენზის ფასისა, თუ უნდა გამორიცხულ იქმნენ. როდესაც ამ საკითხებზედ პასუხს მიიღებს გამგეობა, მაშინ კიდეც შეუდგება სიების ბეჭდვას.

*** როგორც მკითხველს მოეხსენება, ქალაქის საბჭომ გადასდო ასი თუმანი გასანაწილებლად ღარიბთა შორის და ამოირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა ეს ფული დაურიგოს ღარიბ ხალხსა. ხსენებულმა კომისიამ დაავალა ქალაქის აგენტებს, რომ ამათ შეადგინონ სიები ღარიბ მოქალაქეთა და საჩქაროზედ წარუდგინონ კომისიას. რადგან აგენტები დაახლოვებით იცნობენ თავთავიანთ ნაწილში, ვინ მდიდარია და ვინ ღარიბი, ამიტომ ამათ უკვე შეადგინეს სიები, რომელთაგანაც სჩანს, რომ ტფილისში ორასამდეა ისეთი ღარიბი კაცი, რომელსაც ესაჭიროება დაუყოვნებელი დახმარება, რადგან მოკლებულ არიან მევრნი საჭმელ-სასმელსა და უმეტესი ნაწილი ტანისამოსსა და შეშას ამ ცივ ზამთარში. გარდა ამ სიებში მოყოლებულ ღარიბთა, სხვებმაც მიჰმართეს კომისიას თხოვნით, რომ შეეწეობა აღმოუჩინოს მათ რამ. ვიდრე ამისთანა თხოვნებს განიხილავდეს, კომისიამ დაადგინა, რომ ყოველ ამ თხოვნის შესახებ აგენტებმა მოახდინონ გამოძიება, რამდენად უჭირთ მთხოვნელთ დახმარება და რამდენად მართალია მათი თხოვნა. ასის თუმნის გარდა კომისიას მოსდის გასანაწილებლად შემოწირულება სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კერძო კაცთაგან.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება გორში წავა და დაიწყებს იქ საქმეების გარჩევას 15 თებერვლიდამ 15 მარტამდე, სულ განსახილველი აქვს 51 მცირე საქმე.

*** დარუბანდი. დარუბანდი უდაბურ კუნძულს დაემგზავსა; ნავოსნობა უამინდობის გამო შესწყდა; სხვა ქალაქებთან მისვლა-მოსვლა იშვიათად ჰხდება. მარტო ფოსტა რის ვაივაგლახით ბაქომდე დადის და იქიდგან მოტანილ ჟურნალ-გაზეთებით გვასულდგმულებს. ამ გვარ მდგომარეობით აქაურმა ვაჭრებმა ისარგებლეს: საქონელს სისხლის ფასად ჰყიდიან, მაგ., შაქარს 22 კაპ. ჰყიდიან.

ამ ჟამად აქ მეტის-მეტი ცუდი ამინდებია, რის გამოც ბევრნი ცივდებიან და ფილტვების ანთებით ჰხდებიან ავად.

*** სოფელი წიფა (გორის მაზრა) ძლივს ეღირსა სკოლა მამა მღვდლის ლევი გაჩეჩილაძის წყალობით და ბ-ნ მიხეილ ქ. ყიფიანის დახმარებით. წარსულ წლის 10 ოქტომბრიდგან მღვდელმა გამართა საეკკლესიო სკოლა სოფელ წიფაშიჴთავის საკუთარის ხარჯით, რომელშიაც თითონვე ასწავლის ყველა საგნებს. სკოლის გამართვისთანავე მშობლებმა სიხარულით მოიყვანეს თავიანთი ყმაწვილები. ამ სკოლაში სწავლობენ დღეს ვაჟები და ქალები ოცდა-ათამდე. რიცხვი ყმაწვილებისა თანდათან მატულობს.

იმედია, მამა მღვდელი ლევი გაჩეჩილაძე, როგორც დახელოვნებული ბ დიდი ხნის გამოცდილი მასწავლებელი, სამაგალითოდ აწარმოებს ამ სკოლის საქმეს. ვისურვებთ, რომ ამ მღვდლისთვის მიებაძოთ სხვა მღვდლებსაც.

*** ს. აწყური (თელავის მაზრა). აქამდის დადინჯებული და ყოველთვის დამშვიდებული ჩვენი პატარა სოფელი დღეს დიდ მწუხარებაშია ქურდობისაგან. ამ ბატონებმა თავიანთი ხელობა ჯერ პატარათი დაიწყეს: ჯერ მოიპარეს ქათამი, მერე ბატი, ინდოური, ღვინო და ეხლა ცხენებსა და საქონელსაც მიჰყვეს ხელი. სოფელი ქურდს ვერა პოულობს და ბევრი ჰიჰყინისა და ჩხუბის შემდეგ სოფლისაგან არჩეული თორმეტი კაცი სოფელსავე ახდევინებს დანაკარგს. ყარაულებიც დავნიშნეთ, ყოველს უბნიდგან ორ-ორი კაცი, შენიშნულ კაცებსაც ერთი ხუთად, ერთი-ათად მეტ-მეტი შევაწერეთ დანაკარგის საზღაური, მაგრამ არა გვეშველა-რა. საჭიროა მთავრობის მოხელემ მოგვხედოს, თორემ ამ გვარის გაწერებით კარგი არა გამოვა-რა.

დიდი თოვლი და ყინვებია აქ. საქონლის საჭმელის უქონლობით დიდ გაჭირვებაში ვართ. საქონელი მალე მაინც გაგვაცალოს ხელიდგან შემოჩვეულმა ქურდებმა, რომ საკვები მაინც შინ დავგრჩეს.

*** კახი (ზაქათალის ოლქი): აქ თოვლი დიდია. პური (ხორბალი), ქერი, ფეტვი ძალიან დაძვირდა. ამის მიზეზი, სხვათა შორის, თაგვის გაჩენაა ჯეჯილებში, მაგრამ ეხლახან იმათაც მტერი გაუჩნდა: თეთრ-გულა თაგვი, სახელად დოფალა, მრავლად არის იქ, საცა თაგვები ნათესს აფუ-

ქებენ, და ისე ჰხოცავს თურმე, როგორც ტარბი კალიას. ხალხს უხარიან და თანაც ევედრება ღმერთს, რომ თოვლიც ბლომად მოვიდეს, ყინვები დაიჭიროს, რომ თაგვის ხსენება აღარ იყოსო.

ახალმა „ნაჩალნიკმა“ ქურდები ისე დააშინა, რომ ეხლა ძალიან იშვიათია ქურდობა. 300 კაცი ქურდი ციმბირს გაიგზავნა.

საქონელი დაიაფ-და უბალახობისა გამო.

*** ახალ-სენაკი: ახალ-წლიდან ბევრი ახალი ჩვეულება შემოიღეს ახალ-სენაკელებმა. მაგალითად: დაიწყეს ცოცხალის ღორების გზავნა ვაგონებით ტფილისში და, მგონი, თითო ღორს გზის ფასი ქალაქამდის ერთი მანეთი უნდება. დაიწყეს აგრედვე კვირა უქმობით სიმინდის გახშირებული ზიდვა სოფლიდან. შემოიღეს კიდევ ნიავება სიმინდის მაღაზიის პატრონებმა შიგ შუა ქალაქის ქუჩებში, ასე რომ გამვლელ-გამომვლელს და ახლო-მახ-ლო მცხოვრებელთ თვალები ევსებათ იმისის მტვრითა და ვაივაგლახით. ამიტომ ურიგო არ იქნება, პოლიცია აღუკრძალავდეს სიმინდის ნიავებას მაღაზიის პატრონებს თვალ-საჩინო ადგილებში მაინც.

*** ქუთაისი: გუშინ, 25 იანვარს, ქალაქის საბჭოს კრება იყო. კრებას სჯა-ბაასი ჰქონდა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. სხვათა შორის ლაპარაკი გამოიწვია ხუროთ - მოძღვრისათვის ჯამაგირის დანიშვნამ. საბჭოს გადუწყეტელი დარჩა ის საგანი, თუ როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში: დასტოვოს ძველი ხუროთ-მოძღვარი და აძლიოს წინანდებუ ად 1,200 მან. ჯამაგირი, თუმცა იმას სხვა სამსახურიცა აქვს და მაგდენად არა სცალიან ქალაქის საქმეთათვის, თუ სხვა ხუროთ-მოძღვარი მოიწვიოს, თუნდ ორი და სამი ათასი მანათიც დაუჯდესო. დასასრულ დიდი ბაასი და კამათობა გამოიწვია წყაროს წყალის გამოყვანის საქმემ. საბჭომ გადასწყვიტა დიდის ლაპარაკის შემდეგ: მივანდოთ ინჟინერს კონრადის: დაათვალიეროს ბ-ნ ძოწენიძის მიერ ნახული წყაროები, დაანარმანდოს (нивелировка), გეგმა შეადგენოს, ხარჯთ-აღრიცხვა დაგვიმზადოს და გეგმაზე აღნიშნოს გზა წყალის გამოყვანისა; ამისათვის მიეცეს გეგმის შემდგენელს სამასი თუმანიო. საბჭოს კრების ამბავს დაწვრილებით მოგწერთ.

*** ს. კლდეეთი. (შორაპნის მაზრა): აქ სახადი და ყვავილია მოდებული; პატრონი-კი არსადა სჩანს, არც ექიმი და არც ამცრელი არ მოიპოვება.

*** ქედა აჭარა: ამ დღეებში ბ-ნმა სოტნის კამანდირმა წაიყვანა სოფელ მულებს თავისი მილიციონერები და დაეცა ფირალს ახმედ-კირიმლი-ოღლის, დიდხანს სინჯეს სახლი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს მერე შეიხედეს ბუხარში, რომელშიაც ცეცხლი ენთო და ფირალი ბუხრის შუაზედ დამალული დაინახეს, დაიჭირეს და ბათუმს გაგზავნეს.

ჩვენში ზამთარი გაზაფხულად გადაქცეულა. ისეთი სიცხეები არის, რომ ნამდვილად მაისის დღეები გეგონებათ. ხეხილმაც იჩინა ფოთოლი და ყვავილი, უმეტესად ტყემალმა, რომელიც უკვე დამარცვლდა. მოხუცნი ამბობენ, ამისთანა ცხელი ზამთარი ავადმყოფობისა და ცუდის მოსავლის ნიშანი არისო.

*** ტფილისის ხელოსნები ყოველ წლივ ირჩევენ საგანგებო კომისიას, რომლისაც მოვალეობაა, შეაგროვონ ხოლმე ამქრებისაგან შესავსებელი გარდასახადი (ნედოიმკები). გაზეთ „Н. О.“-ს გაუგონია, რომ წელს ასეთი კომისია უკვე შეუდგა ნედოიმკების მოკრებას. ამ კომისიაში ხუთი წევრია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ კომისიის წევრნი წელს ჯერ არ აურჩევიათ და ხელოსნებს უკვირთ, ვინ მიანიჭა ამ კომისიას ნედოიმკების მოკრებაო.

ქალაქის მოხარჯეთა უსტაბაშის ბ-ნ ბუდაღოვს სამსახურის ვადა გაუთავდა და ამ თანამდებობაზედ უარი განაცხადა. ახალ უსტაბაშის არჩევანები მოხდება თებერვლის დამლევს.

*** გაზ. „Т. Л.“-ი ამბობს, რომ ტფილისის მიხეილის სამკურნალო სავსეა ავადმყოფებით და სამკურნალოში ადგილი აღარ არის ახალ ავადმყოფთა მისაღებადაო. გაზეთის სიტყვით, 1 იანვრიდამ 26 იანვრამდე სამკურნალომ უარი უთხრა და არ მიიღო 59 ავადმყოფიო.

*** 26 იანვარს ლაბარატორიის ქუჩაზე ფ-ნ კრუზენშტერნის იმისივე სახლში მოსამსახურე ჯარის კაცმა როდცევმა ვერცხლის სხვა-დასხვა ნივთეულობა მოიპარა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს კადეტის კორპუსის ინსპექტორმა კარალკოვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ დაუკეტავის სადგურიდგან, 110 მან. ღირებული, კაცისა და ქალის ტანთ-საცმელი მომპარესო.

*** 21 იანვარს ავჭალის ქუჩაზე პეტრე ნარიმანოვს ნავთის საწყობი მაღაზია გაუტეხეს და მოჰპარეს 41 ყუთი თვლების წასასმელი ქონი და სამი ფუთი ნავთი. ქონი რკინის გზის ხიდს ქვეშ იპოვნეს და პატრონს გადასცეს.

*** 26 იანვარს არტილერიის ბალკაში ტატიანა კისლიაკოვმა თავის მოკვლა განიზრახა და კარბოლის სიმჟავე დალია. ქალს ჯერ იქვე მიეშველნენ ექიმები და შემდეგ სამკურნალოში გაჰგზავნეს საექიმოდ.

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა: ტფილისის ოლქის სასამართლოს სეკრეტრის თანაშემწე გუბერნსკი სეკრეტარი ე ლ ი ო ზ ი შ ვ ი ლ ი აღმასრულებლად სეკრეტრის თანაშემწის თანამდებობისა კავკასიის სამხედრო სასამართლოში.

დაინიშნა: პორუჩიკი თავ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ახალციხის მაზრის ურაველის საპოლიციო განყოფილების ბოქაულად.

## სასულიერო მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისის თხოვნის თანახმად, ავადმყოფობისა გამო, გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მდივანი, ნადვორნი სოვეტნიკი მიტკევიჩი.

უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ბრძანებით, გორის სასულიერო სასწავლებლის უფროსის კლასების რუსულის ენის მასწავლებლის ცვეტაევის მაგიერ, დაინიშნა ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატი კლადიმირ ლავროვი.

გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მოხელეს ეფრემ შავდიას, სამსახურის წელთა შესრულებისათვის, ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

სიღნაღის მაზრის ქვემო-მაჩხაანის ეკკლესიის მღვდლის თავისუფალს ადგილზედ გადაყვანილ იქმნა ზემო-მაჩხაანის მე-2 წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ვასილ მენთეშაშვილი, ხოლო ამის ადგილზედ ჩაირიცხა სემინარიის სტუდენტი, სათავად-აზნაურო სასწავლებლის აღმზრდელი იოსებ მირიანიშვილი.

უჯარმის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი რომანოზ ფერაძე, თავისისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნა საქაშეთის ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიაში.

მღვდელ-მონაზონი იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოსი დომენტი, თავისისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნა ტფილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერში მღვდელ-მონაზონის თავისუფალს ადგილზედ.

ეკკლესიის მნათეებად დამტკიცებულ იქმნენ:

ტფილისის მაზრაში: ტფილისის მოქალაქე ეგნატე ხრამელაშვილი—ქ. ტფილისის კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში.

თელავის მაზრაში: სოფ. შილდის მცხოვრებელი ივანე ალნიაშვილი—შილდის ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიაში; იმავე სოფლის მცხოვრებელი ნიკოლოოზ კრიჭიაშვილი—შილდის წმ. სასწაულთ-მოქმედის ეკკლესიაში, და მცხოვრებელი იმავე სოფლისა ალექსი ასაბაშვილი—შილდის ხელთ-უქმნელის ხატის ეკკლესიაში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ოჩემჩირე,** 4 იანვარი. როგორც იყო გადმოვხაბაკდით ამ 1893 წელში; დარები მშვენიერი დაგვესწრა. წარსულ ზაფხულის მომგონე, ვინ მოელოდა ამ ბედნიერ დღესა. იმის შემხედვარე, რასაც აქ წარსულს ზაფხულს ვხედავდით, ყველანი ღმერთს ვევედრებოდით: „ღმერთო, მშვიდობით დამილამეო“. ეხლა-კი, მადლობა ღმერთს, ჩვენი დაბა ხოლერის მამობილმა, 1892 წელმა, მშვიდობიანად ჩაიბარა თავის ახალგაზდა მოადგილეს და უთხრა: გაბარებ რა სხვათა შორის, დაბა ოჩემჩირეს, გაფრთხილებ, რომ, თუ ვინიცობაა განიზრახოს ვინმე ხოლერის წინააღმდეგ ხმის ამოღება, მაშინვე კისერი მოუგრიხე; არავინ გაბედოს დაბის დასუფთავება, ჭაობიანის ადგილების გაშრობა, თხრილების ამოწმენდა; ერთის სიტყვით, მომავალ ზაფხულისათვის ყოველივე ისე იყოს, როგორც ეხლაა. ცხენების და სხვა შინაურ პირუტყვთა ქურდობას, სახლების ტეხასა და სხვა ამ გვარ საქმეებს თავი დაანებოთ, როგორც უნდა, ისე იწარმოვოს, ეგ ჩვენი მოვალეობა არ არის; შენ მხოლოდ ხოლერის სასარგებლო საქმეს ეცადე. აი, სხვათა შორის, უნდა იქონიო ყურადღება, რომ მდინარე აძიყვაზედ, რომელიც დაბას ერთ ვერსზედ ჩამოუდის, ხიდის გაკეთება არავინ გაბედოს; ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ამ ხიდის, (როდესაც არსებობდა), ერთად-ერთი ღონეა დაბასა და სოფლებ შორის მიმოსვლისა; ამ ხიდზედ უნდა გამოატარონ ყოველივე ისა, რაიცა საზოგადოდ ეძლევა სასყიდლად სოფლიდან ქალაქსა, ანუ დაბასა: ყველი, კვერცხი, ქათამი, ინდაური, ბატი, ფქვილი, შეშა და სხვა; თუ ღმერთმა ქმნა და ზაფხულში ეს ხიდი გაუკეთებელი დარჩა, იცოცხლე, ხოლერას ამ გარემოებამ კარგად შეუწყოს ხელი; იმიტომ რომ ზაფხულობით აქაურნი ხშირად მოკლებულნი არიან ხორცეულს საზრდოს; მაშინ ყოველ დღე საკლავი არ იკვლის და, თუ სოფლიდან სანოვაგე ვერა ჩამოიტანეს-რა, მეტი რაღა გზა ექნებათ, იმითი არ ისაზრდოვონ, რაც ხოლერის „ბაცილებსაც“ ასაზრდოვებს. ამას გარდა, ვინ იცის, ამ ზამთარშიაც შე-

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

გაცხარებული ბრძოლა. — უადგილო ჯიბრი.—საწყენი ხასიათი ჩვენის საბჭოსი.

დღეს ტფილისის საბჭოში დიდი ბრძოლა და ჭექა-ქუხილია. ორი მძლავრი დასი ერთმანეთს ებრძვის და თითო გამარჯვება თვითო კარგ ომის გადახდას ეთანაბრება. საგანი-კი ბრძოლისა გახლავთ ისეთი კერძოობა ქალაქის ცხოვრებისა, რომლის გადაწყვეტასაც სრული მშვიდობიანობა და მყუდროება შეჰფერის. უნდა მოეწყოს და უკეთ გაიმართოს ქალაქის სამკურნალო უწყების საქმე. ჩვენს თვით-მმართველობას აქვს შემდეგი სამკურნალო დაწესებულებანი: ქალაქის სამკურნალო, თვისის ორის განყოფილებით—ავლაბარსა და ხარფუხში, ერთი საავადმყოფო ვენერიულ სენით ავადმყოფ დედაკაცთათვის, ერთი სადეზინფექციო კამერა მძარულ სენით ავადმყოფთა სახლების და ბარგის უშიშარ ყოფისთვის, ერთი აფთიაქი და ერთი საქიმიო ლაბორატორია ყოველგვარ ნუზლისა და სანოვაგეს ავკარგიანობის შესამოწმებლად. ამასთანავე ქალაქსა ჰყავს ორი სასანიტარო ექიმი, ერთი სკოლების ექიმი და ერთიც საყასბოს ბეითალი ფერშლებითურთ. დღემდე ყოველი ეს ორგანო ცალკე ექვემდებარებოდა მხოლოდ ქალაქს გამგეობას, მაგრამ რადგან გამგეობის წევრთ მოვლა-პატრონობა მთელის ქალაქისა აწევთ და ათას გვარ საქმეში არიან გართულნი, ნამდვილი ზედამხედველობა სამკურნალო დაწესებულებათა მოქმედებისა სრულებით არ არსებობდა. ყოველ დაწესებულების წარმატება თუ უკან სვლა დამოკიდებული იყო მის პირდაპირს გამგეზედ. უკეთუ რიგიანსა და მცოდნე გამგეს წააწყდებოდა ქალაქი, ხომ დაწესებულების საქმეც კარგად მიდიოდა, ხოლო თუ გამგე უხეირო აღმოჩნდებოდა, დაწესებულებაც ვერ აასრულებდა იმ საგანს, რისთვისაც იგი დააარსა ქალაქმა. ამასთანავე ქალაქს არ მოეპოვებოდა იმისთანა სარწმუნო ორგანო, რომელსაც უტყუვრად დეეფასებინა მოღვაწეობა ამა თუ იმ გამგესი. რომ იაფად უჯდებოდეს აღნიშნულნი სამკურნალო დაწესებულებანი ქალაქის თვით-მმართველობას, მაშინ კიდევ ჯანი წაჰსვლოდა ასეთს უწესო წესს; მაგრამ რაკი ქალაქი წელიწადში ოთხი-ათასხუთას-თუმანსა ჰხარჯავს ამ საჭირო და საკეთილო საქმეზედ, ასეთს შემთხვევაში აღალბედზედ მიტოვება ამ დაწესებულებათა და მით გამგეთა არ უნდა ჩამოერთვას ნამეტან კეთილგონიერებად ქალაქ ს თვით-მმართველობას.

როგორც საბჭოს ანგარიშიდგან ეხსომება მკითხველს, ხმოსანმა თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილმა ურჩია საბჭოს—ამოდენა ფულსა ვხარჯამთ ქალაქის სამკურნალო უწყებისათვის და ერთი სამას-ოთხასი თუმანი რა გაგვიხდა, რომ ამ ფულით რამდენიმე მუქთი ექიმი დავუჭიროთ ღარიბ ხალხსაო. საბჭოს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა და განსაკუთრებულს კომისიას დაავალა ამ საქმის შესრულება. კომისიამ თავის მხრივ იფიქრა—სამას-ოთხას თუმანს ერთი ასი თუმანიც რომ წავუმატოთ, მაშინ ღარიბ ხალხს ეყოლება შვიდი მუქთი ექიმი, ხსენებული დაწესებულებანი შეერთდება ერთის კავშირით და მთელი ეს შეერთებული ძალა ჩაჰბარდება ისეთს საიმედო ზედამხედველს, რომელსაც ამოირჩევს საბჭო და ამ ამორჩეულ კაცს მიანდობს თვალყურის ჭერას ყოველ სამკურნალო დაწესებულების მოქმედებისასო.

ამ სახით, გარეშე მაყურებელს მხოლოდ უნდა მოეწონოს კეთილგონიერება კომისიისა და საომარს მასალას ხომ აქ ვერსად მოჰკრავს იგი თვალს. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ნახევარი ნაწილი საბჭოსი ყალყზედ შესდგა—როგორ თუ კეთილ-გონიერებას გვიხსენებთო, განა ჩვენ კეთილ-გონიერებაზედ მწყრალად ვიყავით, რომ ჩვენ თვითონ არ მოგვივიდა მაგეთი აზრი საქმის შეერთებისა, და ახლა თქვენ უნდა აგვიხილოთ თვალიო!.. ესე იგი, როგორცა ჰხედავთ, საქმე თავმოყვარეობაზედ მიდგა და აქ ჭკვიანი კაციც ხშირად თავს დაჰკარგავს ხოლმე.

**

აქ რომ უადგილო ჯიბრი არ გარეულიყო საქმეში, საბჭო პირველსავე კრებაზედ სიხარულით მიიღებდა კომისიის ჩინებულს აზრს და მადლობასაც გადუხდიდა ქალაქის პირით იმ კაცს, რომელსაც პირველად მოუვიდა აზრი ღარიბ მოქალაქეთა დახმარებისა, ე. ი. თავ. ა. ზ. ჩოლაყაშვილს. ამისთანა ჩინებული მზრუნველობა ღარიბ მოქალაქეთა გამოიჩინა კაცმა და ცარიელი მადლობა მაინც რადა გშურთ, ან რა გეხარჯებათ მაგ მადლობისთვის! სხვა არა იყოს-რა, მარტო თავაზიანობა და ზრდილობა მოითხოვს მაგას. მაგრამ რის მადლობა! რაკი თავ. ჩოლაყაშვილმა სთქვა მაგეთი საკეთილო საქმე და მე-კი ვერა ვთქვიო, ამიტომ მადლობა-კი არა, შეურაცყოფაც არა მშურს მაგისთვისაო. ასეთი იყო აზრი საბჭოს მეორე ნახევრისა; ამის გამოც მოხდა, რომ ერთის კრების მაგიერ, შვიდი-რვა კრება მოახმარა კომისიის მოხსენების განხილვას და ჯერ კიდევ სად არის! ჯერ ხუთი-ექვსი კრება დასჭირდათ, რომ საკეთილო რჩევა თავ. ჩოლაყაშვილისა და კომისიისა მიეღოთ, მაგრამ თვით ეს მიღება მოხერხდა მხოლოდ ხარგრძლივის ომის შემდეგ. ომის მთავარ-სარდალი იყო ხმოსანი ნ. ი. ნიკოლაძე, რომელსაც საბჭოს ქართველობამ და რამდენმამე სომეხმა ექიმმა და აგრედვე ცნობილმა მ. ი. თამამშოვმა მხარი მისცეს. თავისის ცოდნით, გამჭრიახობით, ძრიელის სიტყვით და აგრედვე მით, რომ სამართლიან და ქალაქისთვის სასარგებლო საქმეს ესარჩლებოდა, ბ-ნმა ნიკოლაძემ გაიმარჯვა და მოედნიდგან ბურთი მამაცად გაიტანა. საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლოს ხიდის უქონლობამ; გაჭირვებულები ხომ ბევრნი მიდიან და მოდიან; ამის მეტი გზა არა აქვთ. მაშ, ან უნდა გავიდნენ წყალში ფონზედ (ზღვის შესაყარში) და ან უნდა დაირჩონ; თუ დაირჩო, ხომ კარგია; ამას წინად არ იყო, მაგალითად, ერთი ცხენოსანი კაცი ჩავარდა ამ წყალში, ცხენი დაირჩო და კაცი გადარჩა; ჩვენთვის სულ ერთია, გინდ წყალს დაურჩვია, გინდ ხოლერას უმსხვერპლია. ჩვენი სურვილი ხომ ის არის, რომ მომეტებული იყოს რიცხვი მსხვერპლთა.

ასეა, ბატონო. ადამიანს მრავალი მტერი ჰყავს. ჯერ თვითონ ადამიანი და მისი სიავე, ბოროტება; მერე მისი უზრუნველობა, მერე სიცხე, სიცივე, თოვლი და ქარი, ნესტი და შმორი, ჭაობი და ნაგავი, ათას გვარი სენ-გამჩენი ბაცილები, მერე უგზო-უკვლობა, გზა-დაბნეულობა, სიჩერტეტე და სისულელე. ვინ მოსვლის! აუარებელი მტერი ჰყავს და აბა, რა გასაკვირველია, რომ დროც, ჟამთა ბრუნვაც მისი მტერი იყოს. არა, ამ 1893 წლისაც უნდა გვეშინოდეს, თუ ჭკუა გვაქვს. მერე რუსებს ტყუილად-კი არ ეჯავრებათ რიცხვი „ცამეტი“. ეს წელიწადიც სწორედ მაგ რიცხვისაა: ათას რვაას ოთხმოც-დაცამეტი. რა გვენაღვლება, ვუყურყუროთ. აბა, თუ ცა მეტია, დედამიწა შევიტკბოთ, წუთი-სოფელი გავიხანგრძლიოთ.

ბახვას სკუა

## წერილი კახეთიდამ

(თელავის ზემო მხარე)

მოგეხსენებათ, წასულმა წელმა უმტყუნა კახეთს პურის მოსავალში. გოლვამ ისე გაუხადა საქმე ფეხის მოსავალს, რომ მხვნელ-მთესველთ თესლიც ვეღარ აიღეს, თორემ შის ლალას და გამოსავალს ვინ-ღა ჩივის. ფეტვი და სიმინდი, ეს გლეხ-კაცის არსებობის დედა-ბოძი, ხომ სულ ზეზეურ გახმო უწყალო სიცხემ. თქმა არ უნდა, ეს არის მიზეზი, რომ პურის და საზოგადოდ ხორბლის ფასმა ძალიან აიწია კახეთში. ასე გასინჯეთ, მარტო სიმინდი ფასობს კოდი სამ მანათად. პურს ხომ ოთხმანათადაც ვერ იშოვნით. ლობიოს მაზანდას და სიძვირეს ნუღარ მკითხავთ! გირვანქა ლობიო რვა კაპეიკად და მეტადაც იყიდება თელავის ბაზარში, მაშინ როდესაც გირვანქა ბრინჯი შვიდი კაპეიკია იმავე ბაზარში... ერთი ვაჭარი ეუბნება მეორეს:

რასაკვირველია, ხორბლეულობის სიძვირეა მიზეზი შინაურ ფრინვლის და კვერცხის საშინელ სიძვირისა. ჯერ, უპურობის გამო, ქათმის რიცხვი შეამცირა მეკომურმა; მერე, რაც თესლად დაინარჩუნა, იმასაც ხეირიანად ვეღარ ასაზრდოებს. ქათმის სიმცირემ და მის უჭმელობამ დაჰბადა უკვერცხობა. ძალიან საქმე უნდა გაიჭიროთ, რომ გასასყიდი კვერცხი იშოვნოთ სოფლად და, თუ იშოვნეთ, ისიც წყვილი, თუ გაჭირდა, სამი შაურად. შარშან-კი ამ დროს ექვსი და ხან შვიდიც იყო შაურად.

ამაზე მეტს სიძვირეს და გაჭირვებას რომ არა ვნახავდეთ, ვინ-ღა რას იჩივლებდა, მაგრამ სამწუხარო და საჩივარი ის არის, რომ უფრო და უფრო უარესობა მოელის კახეთის მკვიდრს. აქამდე კიდევ, როგორც იყო, სულს იბრუნებდა: ზოგმა სათესლე პურს მიჰყო ხელი, ზოგმაც სასოფლო პურის მაღაზიიდამ გამოიტანა და სხვა, მაგრამ საქმე ამას შემდეგ არის, სანამ ახალი მოუვიდოდეს!

შეიძლება იფიქროთ: სამაგიეროდ ღვინის მოსავალი კარგი იყო კახეთში. თქვენ არ მომიკვდეთ, რომ ღვინომ პურის მაგიერობა ვერ გასწიოს და იარა ვერ გაამრთელოს ამ ჟამად, როცა ვენახის მოსავალი, მეტადრე გლეხ-კაცისა, მის შემუშავების ხარჯსაც ვერა ჰფარავს და, აბა, პურსა და სხვა კაცისათვის საჭირო საგანს საიდამ და რა გზით შეჰძენს თავის პატრონს?

პურის მოუსავლობა განა მარტო კახეთს დაატყდა თავს. ამას ვერ ასცდა მთა, რომელიც ყველა ამისთანა უბედურ შემთხვევაში კახეთისაგან მოელოდა შველას. მე მოგახსენებთ იმ მთის მკვიდრთა შესახებ, რომელნიც კახეთის ახლო მთებში სცხოვრობენ, თიანეთის მაზრაში და სხვაგან. იმას გარდა, რომ თიანეთიდამ ცნობა იყო გაზეთში მოუსავლობის შესახებ, მე ნამდვილად ვიცი, რომ ფშაველთ და მეტადრე ხევსურთ, რომელთ საცხოვრებელი ადგილი უფრო მწირი და მოუსავლიანია, ვიდრე ფშაველთა, ამ ზამთარს სამყოფი საზრდოც არ მოუვიდათ. ვგონებ, ამ ტაფაში იწვიან სხვა მათი მეზობელი მთის ხალხიცა. ეს მით უფრო აშკარაა, რომ დამშეულ ლილოელებით აივსო თვითონ პურ-ნაკლული კახეთი. დაძრწიან საწყლები, ვითომ-და მუშა ხალხის სახელით, და, სამუშაოს რომ ვერა შოულობენ, გლახაკობენ და აწუხებენ ისედაც შეწუხებულს ხალხს!..

მთის ხალხს ეხლაც ხომ ძალიან უჭირს, მაგრამ უმეტეს გაუჭირდება გაზაფხულზე, როცა ხვნა-თესვას გაათავებს (მთაში თითქმის სულ გაზაფხულზე იციან ხვნა) და დასთესავს იმ პურს, რომელიც სათესლედა აქვს შენახული (ეჭვი არ არის, სათესლე პურის უქონლობის გამო, უხნავ-უთესიც მრავალი დარჩება). ყველა იმ მთიელთა შორის, რომელთაც დაახლოვებით ვიცნობ, უპურობისაგან საქმე გაუჭირდება უფრო ხევსურთ. ფშაველთ და სხვათ, თუ ზამთარს მშვიდობით გადაანარჩუნეს, მცირეოდენი ცხვარი და ძროხა მაინც მოეპოვებათ; ამით ცოტაოდნად ხელს მოინაცვლებენ, მაგრამ ხევსურთ, რომელთაც ეს საქონელი ძალიან მცირედა ჰყავთ, არ შეუძლიანთ ისე ხელის მონაცვლება, იოლას წასვლა, როგორც მათ მეზობლებს: ფშაველთ, მთიულთ და სხვათ, და მათთვის აუცილებელი საჭიროება იქნება დახმარება, რა გზითაც და ვისგანაც-კი შეიძლება!.. იმათთვის-კი, რომელთაც პურის ყიდვის შეძლება მოეპოვებათ, ჩემის ფიქრით, სხვა ნაირი დახმარებაა საჭირო, რომელსაც ქვემორე ვიტყვი.

საქონლის პატრონნი ხელს მოინაცვლებენო, ვამბობ, საქონელს გაჰყიდიან და პურს იყიდიანო, მაგრამ სად უნდა იყიდონ პური, როცა ხსენებულ ხალხთა უმრავლესობის საიმედო პურის ბეღელშიაც (ესე იგი კახეთში) მამასისხლობაა? შორს სადმე წავიდნენ პურის საშოვნელად და, ხომ მოგეხსენებათ, ეს შორს წასვლა უმეტესად საჭირ-ბოროტო საქმეა საწყალ და უღონიერ კაცისათვის (თუ ეს ასე არ იყვეს, მაშ ეხლა იმერეთში იჩივლებდენ: ჩვენს სიმინდს, რომელიც ბლომადა გვაქვს, სრულებით ფასი არა ჰქევსო, და კახეთში, თუ სხვაგან, ამას ვიტყოდით: ხორბლის სიძვირე საქმეს გვიჭირებსო?). მეტი გზა არ არის, გაჭირვებულმა პირველად, სანამ შეძლება აქვს, უნდა მიჰმართოს ვაჭარ-ჩარჩს, რომელსაც იმისავე ოჯახიდამ ჩალის ფასად აქვს გატანილი პური და ამ გვარ საკაკანათოდ ჟამისათვის ბეღელში შენახული. ვაჭარ-ჩარჩი ულმერთოდ აფასებს და ჰყიდის კიდეც პურს, იცის, რომ გაჭირვებული შიმშილით-კი არ მოკვდება და ისევ იძულებული იქნება ისე იყიდოს, როგორც იმასა ჰსურს. მერე, როცა ვაჭარ-ჩარჩიც მამის ძვლებად გაასაღებს თავის ხორბალს, და მყიდველსაც გამოელევა უკანასკნელი გროში და იარა მაინც ვერ გაუმთელდება, რასაკვირველია, საქმე მიდგება „შეწირულებაზედ“...

რომ ეს ასე არ მოხდეს, გაჭირვებულთ ამ თავითვე ძალა და ღონე არ გამოეცალოთ და ბოლოს ქვეყანა არ შეაწუხონ, საჭიროა ეხლავე დახმარება პირველად იმითა, რომ, ვისაც გასასყიდი პური აქვს, მეტის-მეტად ულმერთოდ არ შეეძლოს გაყიდვა, ხოლო მეორედ, პირიან ფასად საყიდელ პურის შოვნით, აჩენით. როგორც უკანასკნელ საჭიროებისთვის ზრუნვა, ისე თვალყურის გდება, რომ უსინიდისო ვაჭარ-ჩარჩმა, რომელსაც შეგროვილი პური სამ-ოთხ აბაზად არ უზის კოდი, ულმერთოდ არ დაიწყოს გაყიდვა გაჭირვებულ ხალხზე,—იმ მაზრის მოხელეთა ვალია, რომელ მაზრასაც ამ გვარი განსაცდელი სწვევია და ან მოელის.

გადამიელი

## პატარა ფელეტონი

დიდი საქმეა მეცნიერება. ბევრი რამ შეუძლიან. ბევრი რამ აღმოაჩინა. ბევრს საქმეს ასწავლის ხალხსა: ვარსკვლავთ მრიცხველობას, გეოგრაფიას, გეოლოგიას, ზოოლოგიას და სხვა-და-სხვა. მაგრამ ყველა სამეცნიერო საგნებ შორის ღირს-შესანიშნავი და სასარგებლო საგანი არის... იცით რა? გარწმუნებთ ვერ გამოიცნობთ. ყველაზედ სასარგებლო მოგონება ფოთოგრაფიაა თურმე. რატომაო?

იმიტომაო, სწერს ბ-ნ ნოტოვიჩის გაზეთი „Новости“, რომ ფოტოგრაფია გვაძლევს დიდს მასალასა სხვა-და-სხვა პსიხოლოგიური, ანტროპოლოგიური და სოციოლოგიური *) საგნები განვმარტოთო.

ასეთს განმარტებას ჩვენა ვკისრულობთო, დიდის თავ-მდაბლობით აღიარებს ბ-ნი ნოტოვიჩი და ამიტომ ვთხოვ ჩვენ მკითხველთ, თავისი ფოტოგრაფიული სურათები გამოგვიგზავნონო. განსაკუთრებით საჭიროა ჩვენთვის სურათები:

1) გუბერნატორებისა, ვიცე-გუბერნატორებისა და სხვა უფროსების სურათები.

2) სურათები გუბერნიების და მაზრების თავად-აზნაურობის წინამძღოლთა.

3) სურათები სამოქალაქო, საერო და სხვა ამ გვარ საზოგადო მოღვაწეთა.

4) სურათები სასამართლოს მოხელეთა.

5) სურათები სამეცნიერო საზოგადოების წევრთა და ყოველ გვარ სასწავლებლის მასწავლებელთა.

*) გთხოვთ ეს სიტყვები ხმა-მაღლა არ წაიკითხოთ, თორემ ენას მოიტეხთ.

ასოთ-ამწყობი

დასთანხმდა, რომ სწორედ მაგეთი წესი უფრო დიდს სარგებლობას მოუტანს ქალაქს, ვიდრე უწინდელიო. მეექვსე კრების ბოლოს საბჭომ ამოირჩია ახალი კომისია, რომელსაც მიანდო წესდების შედგენა თანხმად მიღებულ ცვლილებათა. კომისიაში მოჰყვნენ: ნიკოლაძე, თამამშოვი, მალინინი, შახპარონიანცი და ბაბოვი. კომისიამ წარმოადგინა თავის მიერ შედგენილი წესდება. მოწინააღმდეგე დასმა საბჭოსამ იფიქრა—თუ ჩვენი თანხმობა შესახებ ცვლილებათა წაგვგლიჯა ხმოსანმა ნიკოლაძემ და მისმა მომხრეებმა, ეს მაინც მოვახერხოთ, რომ წესდება უარვყოთ და მაშინ ცარიელი თანხმობა რას გაარიგებს ამ რთულ საქმეშიო. ორშაბათს პირველი კრება ჰქონდა საბჭოს. სწორედ სასაცილო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ საბჭოს ფრიად პატივცემულნი კაცნიც-კი, მარტო იმიტომ რომ ჯიბრის გულისთვის უსამართლო საქმეს მიემხრნენ. მთელი ორი საათი საბჭოს დარბაისელ ხმოსნებს იმაზედა ჰქონდათ ცდილობა, რომ ეგ სიტყვა თავის ალაგას ვერ დაგიწერიათ და სხვაგან უნდა იყოს ჩართულიო, ხოლო ეს სიტყვა სრულებით უნდა გამოირიცხოს მუხლიდგანაო, ან არა და მაგ სიტყვის გულისთვის მთელი მუხლი შეუწყნარებელი უნდა დავტოვოთო და სხვანი. რა თქმა უნდა, როდესაც აშკარა უსამართლო გზას დაადგები, მანძილსაც მაგდენს ვერას გაივლი, უადგილო-ადგილას ხეტიალი მალე მოგვკვეთს მუხლსა. კომისიის მოწინააღმდეგეთაც ასე მოსდით და საბჭო, შემდეგ ცხარე ომისა, მაინც იწონებს წესდების მუხლთ, ერთი-ერთმანეთზედ მიყოლით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლომდე ასე გაიტანს თავს კომისია.

ჩვენ მხოლოდ ეს გვწყინს, რად ირჯებიან უადგილო ჯიბრის ჩაგონებით ისეთი ხმოსნები, რომელთაც ამ სამის წლის წინად ეჭირათ საპატიო ადგილი საბჭოს საქმეთა წარმოებაში და რომელთაც ყოველთვის გული უძგერდათ მოქალაქეთა სიკეთისთვის და არასა ჰზოგავდნენ ამ სიკეთის განსახორციელებლად?

**

ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობაში რა ადგილი უნდა ჰქონდეს პირად ანგარიშებს, საკუთარს თავ-მოყვარეობას და ჯიბრს! ნუ თუ ჩვენმა დამსახურებულმა და განათლებულმა ხმოსნებმა საზოგადო მოღვაწეობაში უნდა იხელმძღვანელონ ბალღურის „შენჩემიობით“? ეს სწორედ სათაკილოა. ხმოსანს ჩოლაყაშვილს რად მოუვიდა ღარიბ მოქალაქეთათვის საკეთილო საქმე და რატომ ჩვენ არ მოგვივიდაო? რა საკადრისია ასეთი ცილობა, თუ ღმერთი გიყვართ. ეცადეთ, იქნება თქვენ უკეთესი აზრი მოგივიდეთ ქალაქის კეთილ-დღეობის განსამატებლად. ხმოსანმა ნიკოლაძემ რად გაიმარჯვა და რატომ ჩვენ არ გავიმარჯვეთო? საკვირველია, თქვენმა მზემ. და მერე ვინ გეხვეწებოდათ—წინააღმდეგობა გაუწიეთ იმ საქმეს, რომელსაც არ ეღალატება, არა ეწინააღმდეგება-რა, რომელსაც ყველა თქვენგანი ორის ხელით უნდა ჩასჭიდებოდა, რადგან ქალაქისთვის სასარგებლო იყო! აბა თქვენ დაგესწროთ ბ-ნ ნიკოლაძისთვის და გეთქვათ—ეგ მართლა კაი საქმეა ჩვენის ქალაქისთვის და ვეცადოთ შეძლებისამებრ უკედ მოვაწყოთო, თუ გამარჯვებული თქვენ არ დარჩენილიყავით. ბ-ნი ნიკოლაძეც კვერს დაგიკრავდათ, იქნებ ქება-დიდებაც ეძლვნა თქვენის კეთილ-გონიერებისთვის. თუ არა და, რა დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ხმოსანს, როდესაც იგი წარმოგიდგენთ მოსაწონსა და სასიკეთო აზრს. დანაშნული-კი არა, იგი მოვალეა შეძლებისა-და გვარად ემსახუროს თავის ქალაქის წარმატებას, რადგან იგი სწორედ მაგისთვის ამოირჩია ხალხმა და დასვა საბჭოში სამოც-და-თორმეტ რჩეულ კაცთან ერთად. შურისა და ჯიბრის მაგიერ, დღეს რომ შენ მოგივიდეს კაი აზრი, ხვალ სხვას მოუვა, და ქალაქის წარმატებაც მაგაზედ უნდა აშენდეს. აქ არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს ხმოსნის გვარის დაბოლოვებას—„ძე“ იქმნება იგი, „ოვი“ თუ „იანცი“. ჯიბრსა და გამჯავრებაზედ-კი არა, საქვეყნო და საზოგადო საქმე ყოველთვის უნდა შენდებოდეს ერთმანეთის წახალისებაზედ, კეთილშობილურს ქიშპობაზედ. თუ არა და რასა ჰგავს შუა ხნის კაცი, მრავალ სასწავლებელში გამოვლილი, ცხოვრების ავ-კარგიანობის მცოდნე, რომელიც ამდგარა და უკუღმართობს ეხუტება გულში, ოღონდ-კი წინააღმდეგობა გაუწიოს საკეთილო საქმეს, რადგან ეს საქმე აღმოუჩენია „ძესა“ და არა „იანცს“ ანუ „ოვს“! ჩვენის აზრით, „ძე“-კი არა, გინდა სულ „ოღლები“ იყვნენ, ოღონდ-კი მართებულად ირჯებოდნენ, რიგიანადა სჯიდნენ, საქმიანობა ჰქონდეთ სახეში და შესაფერად ემსახურებოდნენ ქვეყნის თუ ქალაქის კეთილდღეობას.

აი ასეთი საწყენი ზემოქმედება აქვს გარეშე მაყურებელზედ ჩვენს საბჭოს. გაუნათლებელი ბაზაზები რომ ისხდნენ შიგ, კიდევ არა უშავდა-რა—იმათს გულის პასუხებს სრულებით სხვა სარჩული უდევს. მაგრამ, როდესაცა ჰხედავ ოც-და-ათს, ორმოცს კაცს, განვითარებულ მოქალაქეს, ერთად შეყრილს, და ამავე დროს მათი ბასი გარწმუნებთ თქვენ, რომ უმეტესობას დაჰვიწყებია აზრი თვით თავისი ამორჩევისა, დაჰვიწყებია ამომრჩევლისა, პირდაპირი მოვალეობა, საგანი თავისი სამსახურისა, დაჰვიწყებია ქალაქის უმწეო მდგომარეობა და მოუჭრია მთელი თავისი ყურადღება იმაზედ, თუ „იანც“ ლაპარაკობს, „ოვი“ თუ „ძე“, ესკი სწორედ დიდ ლაქად დააჩნდება ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობას, რომელიც დღემდე ასე განქებული იყო მთელი იმპერიის ქალაქებთან შედარებით და რომელმაც თავისის ჭკვიანურის მოღვაწეობით დაიმსახურა რუსეთის საუკეთესო ჟურნალ-გაზეთების ქება-დიდება.

სანო

სურათები ნაფიც ვექილთა და მკურნალთა. ამ სურათებს ბ-ნი ნოტოვიჩი დაჰბეჭდავს „ნახატებიან“ ჟურნალ „Петерб. Жизнь“-ში და ზედ უშველებელის ასოებით დააწერს:

„რუსეთის ინტელიგენტთა სურათები“.

იმედია, ზემოდ დასახელებულნი მოღვაწენი და მოხელენი ჩვენის ქვეყნისა თითონ გაუგზავნიან ბ-ნ ნოტოვიჩს თავის სურათებს. მაგრამ ჩვენ ეს განზრახვა ისე მოგვწონს, რომ გვსურს ნოტოვიჩის „ალბომი“ უფრო სრული იყოს. ამიტომ შევკრიბეთ ჩვენის ქვეყნის დანარჩენ ინტელიგენტთა, მოღვაწეთა და მოხელეთა სურათები და ამ სურათებს გაუგზავნით ბ-ნ ნოტოვიჩს, რისთვისაც მის მიერ, რასაკვირველია, დიდს მადლობას დავიმსახურებთ. აი ჩვენ მიერ შეკრებილი სურათები:

1) მსურდა გამეგზავნა სურათი ერთის თავად-აზნაურობის წინამძღოლისა და იმ კეტებისა, რომლითაც შეიარაღებული იყო ამალა მისი ჟამსა ბრძოლისასა წინაღმდეგ მოყვასისა თვისისა, მაგრამ, რადგანაც ეს ამბავი ჯერჯერობით იდუმალის წყვდიადით არის მოცული, ამ განზრახვის ასრულება სხვა დროისთვის გადავდე.

2) სურათი მეგრელთა ლიტერატურის ისტორიკოსისა ბ-ნ აშორდიასი.

3) სურათი ოდესმე გამოჩენილისა და სახელოვანის, მაგრამ აწ ჟამთა ვითარებისა გამო მივიწყებულის გმირისა ბ-ნ მებუკესი.

4) სურათი ნეტარ ხსენებულის გამომძიებელის ბ-ნ ხოსროევისა.

5) სურათები ბაქოელ მკურნალთა და სანიტართა, რომელნიც უხვად გაუმასპინძლდნენ დაუპატიჟებელს სტუმარს—ხოლერასა.

6) სურათი ერთის აქაურ გაზეთის თანამშრომელისა, ზედ წარწერით: „კახეთში რკინის გზას ვერ გაიყვანთ!“

7) სურათები აქაურ გაზეთების ორის ფალავან რედაქტორისა. ეს სურათები გადაღებულია ამას წინად „ტფილისის სობრანიაში“.

8) სურათი სახელოვანის გმირისა, ბ-ნ ზოილისა, რომელმაც აღმოაჩინა: „საქართველოს 30 წლის განმავლობაში ორი ლიტერატორის მეტი არ დაჰბადებიაო“. ზოილის სურათს აწერია:

„ასე ჩემო მანასუო,
ხან ასე, და ხან ისეო“.

აბრა

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

გურიის სახალხო წიგნთ-საცავს შემოსწირეს: ივ. მახარაძემ 5 მ., სპ. აბესალაშვილმა 2 მ. 50 კ., ტარ. ჭიჭინაძემ 1 მ., ალ. ხორბალაძემ 1 მ., ბესარიონ კალანდაძემ 6 მ., გერასიმე ქიქოძემ 5 მ., ის. ქიქოძემ 3 მ., პორფირი კაშალომიძემ 5 მ., და აბაშიძემ 1 მ., ეკატერინე ბერიძისამ 6 მ., ვა[illegible]არია ბერიძისამ 2 მ., და მარიამ ბერიძისამ 2 მ.

გულითადს მადლობას ვუძღვნით პატივცემულ შემომწირველთ.

ის. რამიშვილი

### II

27 დეკემბერს 1892 წ. ახალციხეში ადგილობრივ საქველ-მოქმედო დედათა სკოლის სასარგებლოდ სცენის მოყვარულთა მიერ გაიმართა ქართული წარმოდგენა. ბილეთები იყო დამზადებული 172 მ. 74 კ.; ამათში გაიყიდა 141 მ. და 17 კაპეიკისა; გარდა ამისა შემოვიდა კიდევ ისე—7 მ. სულ შემოსავალი იყო 148 მ. 17 კ.

დაიხარჯა: სახლის ქირა—10 მ. 65 კ., მეზურნეებს—3 მ., პარიკ-მახერს—2 მ. 50 კ., აფიშები და ბილეთები—6 მ., მარკები ბილეთებისათვის—11 მ. 30 კ., სცენის გადმოტანა, დადგმა და გამართვა—6 მ. 80 კ. წვრილმანი ხარჯი 7 მან. 54 კაპ. სულ—47 მან. 79 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 100 მ. 38 კ., გარდა ამისა მარკები დარჩა 1 მ. 41 კაპ. ეს ფული (100 მ. და 38 კ.) და მარკები სრულიად გარდაეცა საქველ-მოქმედო საზოგადოების ხაზინადარს და დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინა ადგილობრივ სამაზრო გამგეობას.

ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ თვით წარმოდგენაზედაც: სცენის მოყვარულთ წარმოადგინეს აკ. ცაგარლის დრამა—კომედია „ციმბირელი“. საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა მოთამაშეთაგან, არ ვიცი კი იმიტომ, რომ ამასთანა პატარა ქალაქში ამაზედ უკეთესს ვერას ჰნახავდა, თუ იმიტომ, რომ მართლა კარგად შეასრულეს როლები მოთამაშეთ. ჩემის აზრით-კი, პიესამ ურიგოდ არ ჩაიარა, თუ სახეში მივიღებთ, რომ ხსენებული პიესა საკმაოდ რთული და ძნელია და ამიტომ ითხოვს კარგს მომზადებას.

იმედია, არც შემდეგში მოაკლებს აქაური ყმაწვილ-კაცობა (ვინც წარმოდგენაში იღებდა მონაწილეობას) ამ სიამოვნებას ჩვენს პატარა საზოგადოებას და ამითივე ნივთიერ საშუალებასაც მისცემს ქველის ქალაქის დედათა სკოლას.

ვასილ ბეზირგნიშვილი

1893 წ. 20-ს იანვარი
ქ. ახალციხე

# დეპეშა

28 იანვარი

**პარიჟი.** უკმაყოფილებას აცხადებენ სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელიც გუშინ იქმნა გამოცხადებული. დეპუტატმა კავენიაკმა სთქვა პალატაში, რომ რაც გაკეთდა დღემდე, ის ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოებასაო. „მთავრობაო, დასძინა კავენიაკმა, არ საჭიროებს მოწყალებასა და ფინანსისტების მიერ ბოძებასაო“. ამიტომ ვურჩევ პალატას, შეუდგეს მორიგ საქმეთა განხილვას ასეთის საბუთის ძალით: „პალატამ, სურს რა მხარი მისცეს მთავრობას, რომელიც სცდილობს დათრგუნოს მოქრთამეობა, რა სახითაც უნდა იჩინოს მან თავი, გადასწყვიტა, არ განმეორდეს მთავრობის მიერ განსაკიცხველი საქციელი და შეუდგა მორიგ საქმეთა განხილვას“. რიბომ უპასუხა, რომ სასამართლომ თავისი საქმე შეასრულა თანახმად თავის უზენაესის უფლებისა; მთავრობამ ყოველ-გვარი ღონისძიება იხმარა, ოღონდ-კი საქმე გამორკვეულიყო და რომ მეც, თანხმად კავენიაკისა საჭიროდ მიმაჩნია შემცირდეს გავლენა საფინანსო ძალღონისა ქვეყნის ყოველ-გვარ მოქმედებაში. მთავრობა მზად არის შეიმუშავოს ამისათვის საჭირო ღონისძიებანი. რიბომ შეიწყნარა კავენიაკის აზრი, მორიგ საქმეთა განხილვას შევუდგეთო. პალატამ ეს აზრი დაამტკიცა 446 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 3.

**ვენა.** ავსტრიის მთავრობის აზრი, რომ გაიმართოს საერთა-შორისო კონფერენცია, რაკი ხოლერა მოსალოდნელია ამ გაზაფხულს, შეწყნარებულ იქმნა ყველა სახელმწიფოსაგან. კონფერენცია, როგორც ჰფიქრობენ, შეიკრიბება დრეზდენს, თებერვლის გასულს.

პეტერბურგის ბირჟა, 26 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,78 | 7,80 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155¼ | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241¾ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 228½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 99,87 |

## ივერიის ფოსტა

**გ. გ. თ.** სისწრაფით ვასრულებთ თქვენს თხოვნას და გაცნობებთ, რომ თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება. მაგისთანა ლექსის გამოგზავნა სწორედ დიდი გაბედვაა თქვენის მხრით. აბა, თქვენ თითონ დაფიქრდით, ეს ლექსია?

მიკვირს, ღმერთმან რაღათ ინება
უბრალო შენზე ცრემლის დინება,
რომ არ გვინახავს შენგან შესახებ
ვინმე კაცზედ წყენა და გინება.

თქვენს ლექსში 31 ტაეპია და სულ ასეთი. ვიღაც საპყრობილეში მყოფს უძღვნით. ვფიქრობთ, ამისთანა თქვენმა ტკბილმა მგოსნობამ სევდა გადაჰყაროს თქვენს, პატიმრობით შეწუხებულს, მეგობარს.


# განცხადებანი

მ. მ. მ უ რ ტ ა გ ი.

ასწავლის მსურველთ ინგლისურს ენას. ადრესის დატოვება შეიძლება: ლაბორატორიის ქუჩა, სახლი წურინოვისა, № 5, ეზოში. აგრედვე კისრულობს გუვერნიორობას, დღეში რამდენსამე საათით, კარგის ჯამაგირით. მურტაგი თავდებობს, რომ რიგიანად შეასწავლის ინგლისურ ენის გამოთქმას, სწორედ ისეთს, როგორიც ოქსფორდისა და კემრიჯის უნივერსიტეტებშია მიღებული. იცის აგრედვე კარგად ფრანგული ენაც. (4—4)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—37)

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.
გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და სხვაგანაც
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი**
1893 წ.

კალენდარი შეიცავს 500-მდე კარგად დასტამბულ გვერდს დიდის ფორმატისას. «საქართველოს კალენდარი» 1893 წლისათვის დასურათებულია მრავალის, როგორც უცხო ქვეყნების, აგრეთვე ქართველ მწერალ მოღვაწეთა სახეებით.
ფასი უყდოდ 45 კაპ. ყდაში 55 კაპ.

უბის წიგნი 1893 წლისათვის
მშვენიერის ყდიან-ყარანდაშით და რეზინით 40 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1893 წ.**

მრავალის ცნობებით და საჭირო გამოსადეგ რჩევა-დარიგებით
ფასი ერთი შაური.

იქვე ისყიდება ეხლა-ხან გამოსული ახალი წიგნი,
ვალ. გუნიას მიერვე შედგენილი,
ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სრული და ვრცელი სახელმძღვანელო სხვა-და-სხვა ბარათებისა და წერილების შესადგენად ყოველ გვარ შემთხვევისთვის. წიგნში 208 გვერდია სამ ნაწილად.

**ფასი ორი აბაზი, ყდით ათი შაური**

ყველა ვინც ნაღდ ფულად გამოიწერს ამ წიგნებს არა ნაკლებ 4 და 5-ის ცალისა, დაეთმობა 20%.

ვისაც საკამისიოდ ჰსურთ კალენდრების წაღება, შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის გამავრც. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ფრეილინის ქუჩა № 5,
(6—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი,

# „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებმა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.